ო ქ მ ი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი.

2022წლის 27 იანვარი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსულ ჯიშკარიანი

7.მოგელი ხუხია

8.გურიელ ქარდავა

9.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 20 იანვრის N50-220205 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

(მომხსენებელი ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 20 იანვრის N 50220205 წერილის განხილვა ('ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 45.02.25.464, სადაც განთავსებულია სოფელ ზუბის საბავშვო ბაღი.

მუნიციპალიტეტის მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული ქონება გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საღმზრდელო გაერთიანება"-ს საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისთვის, რაზედაც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიამ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიიჩნია გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

სამართლებრივი საფუძველი; „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

2.ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.